კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური გრანტით დაფინანსებული პროექტის ,,თრუსოს ხეობის დემოგრაფია და მოსახლეობის კულტურული იდენტობები“-ს ფარგლებში.

საგრანტო ხელშეკრულების № FR-19-7379

ლია ახალაძე
ისტორიის დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ნინო შიოლაშვილი
ისტორიის დოქტორი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი. ასისტენტ პროფესორი

გვანცა ბურდული
ისტორიის დოქტორი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი. მოწვეული სპეციალისტი

თამარ ფხალაძე
ისტორიის დოქტორი
ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი. მოწვეული პედაგოგი
ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5

გელა ქისტაური
ისტორიის დოქტორი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი. მოწვეული სპეციალისტი

თრუსოს წარსული ბედნიერ ადამიანებს გველოდება

ნებისმიერი მეცნიერება ადამიანს ბედნიერი მომავლის მოსაპოვებლად სჭირდება. მეცნიერება და ახლის ძიება თავად არის ბედნიერი და სასიამოვნო წუთების მომტანი, როდესაც ცდილობ იპოვო ის, რაც თვალთაგან დაფარულია, ან სულაც შენს მახლობლადაა, მაგრამ მის მისაგნებად მეცნიერის დაკვირვებული თვალი და კვლევა სჭირდება. არაფერი გვესაქმება დედამიწაზე თუ ბედნიერებისთვის არ ვიბრძვით -თქვა ერთმა დიდმა ბერძენმა და რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს ისტორია არის სწორედ ის მეცნიერება, რომლის ყველა ინტერდისციპლინურ კვლევას თავს ერთად უყრის და ყველაზე უკეთ დაგვანახებს საით წავიდეთ, სადაც ვიპოვით კაცობრიობის ბედნიერების გასაღებს. ადამიანებო, ყური დავუგდოთ ისტორიას - ის გვასწავლის სად, როდის, როგორ და რისთვის მოხდა, მაგრამ ამავე დროს გვაძლევს საშუალებას დღეს როგორ მოვიქცეთ, გაცილებით უკეთ როგორ გადავჭრათ პრობლემები, ვიდრე ამას წარსულში ვაკეთებდით. ჩავხედოთ ისტორიას, ყური მივუგდოთ ისტორიის მაჯისცემას და ის აუცილებლად გვეტყვის სად ვეძებოთ ბედნიერების გასაღები.

ჩვენი დღევანდელი მოხსენების მთავარი მიზანია თქვენს წინაშე წარმოვადგინოთ ჩვენი ქვეყნის ერთი პატარა, კავკასიონის მიუვალ მთებში ჩაკარგული კუთხე -თრუსო, რომელის ისტორიის მრავალფროევნებამ და სიმდიდრემ, შესაძლოა ოდესმე დიდი ბედნიერება მოგგვაროთ თუ მის სანახავად გვესტუმრებით საქართველოში.

ეს არ გახლავთ ჩვენი სამშობლოს ერთი უბარლო მხარე, მას საქართველოს სტრატეგიული უსაფრთხოებისთვის სისტემაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს.

მოგეხსენებათ, საქართველო, გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებიდან გამომდინარე, საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა და ხალხების მიგრაციის არეალს წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში მიგრანტთა ზოგი ჯგუფი ადგილობრივ მოსახლეობაში ან სხვა ეთნიკურ ერთეულებში გაითქვიფა, სხვებმა კი ბოლომდე შეინარჩუნეს თავიანთი ეროვნული სპეციფიკა. ეს პროცესი ყველაზე მეტად საგრძნობი იყო საქართვლოს საზღვრისპირა რეგიონებში, მათ შორის საქართველოს ერთ-ერთ უძველეს თრუსოს ხეობაში. თავისი ისტორიული წარსულით, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობით, მოსახლეობის ყოფის, მატერიალური თუ სულიერი კულტურის განვითარებით თრუსოს ხეობა საკმაოდ მდიდარ და საინტერესო ხეობას წარმოადგენს.

თვალი გავადევნოთ თრუსოს, როგორც საქართველოს ისტორიული მხარის ისტორიას და სტრატეგიულ ადგილს ქართული სახელმწიფოებიობის განვითარების ყველა ეტაპზე. რეგიონის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა თანამედროვე ქართული სახელმწიფოს სტრატეგიული უსაფრთხოების თვალსაზრისით. კვლევა ეფუძნება ისტორიულ წყაროთა შედარებითი ანალიზის მეთოდს, დოკუმენტურ კვლევას და კონტენტ ანალიზს.

თრუსოს ხეობას, ისტორიულად, საქართველოს სახელმწიფოს თავდაცვის სისტემაში ერთ-ერთი მნიშველოვანი სტრატეგიული ადგილი ეკავა. მას დღესაც იგივე

დატვირთვა აქვს თანამედროვე ქართული სახელმწიფოსთვის, რადგან საქართველოს ბუნებრივი საზღვრის - კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილო კალთებზე, მდინარე თერგის სათავეში მდებარეობს და მცხეთა-მთიანეთის მხარის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის. შესაბამისად, ჩრდილოეთით ემეზობლება რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკა - ალანია, სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთით - რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული საქართველოს მუნიციპალიტეტებს ახალგორსა და ჯავას, ხოლო შიდა ადმინისტრაციული დაყოფის საფუძველზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება დუშეთის მუნიციპალიტეტს.

ქართული და უცხოური წყაროების მიხედვით, თრუსოს ხეობა უძველესი დროიდან ჯერ ძვ. წ. IV-III სს. მიჯნაზე ჩამოყალიბებული ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და განსაკუთრებული სტრატეგიული დატვირთვა მიეცა რომაელთა ბატონობის ხანაში, როდესაც რომის იმპერიის პოლიტიკაში აღმოსავლეთის პროვინციების დაცვის საკითხი დადგა და ქართლის სამეფოს, როგორც „რომის მოკავშირესა და მეგობარს“ დაევალა ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელი გზების გაკონტროლება. ამ მხარის დაცვას რომი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან ჩრდილოეთ კავკასიაში უმართავი სამხედრო ძალების შემაკავებელი მნიშვნელოვანი ბერკეტი იყო.

ქართლის სამეფოს მიერ წინა საუკუნეებში შექმნილი თავდაცვითი სისტემის გამაგრებას, აღმოსავლეთის პროვინციების უსაფრთხოების მიზნით, ძვ. წ. I საუკუნიდან (ძვ. წ. 65 წ.) რომის იმპერია უზრუნველყოფდა, რაც ქართლის მეფეთა ინტერესებშიც შედიოდა. რომის იმპერიის კომპრომისული პოლიტიკა ქართლის სამეფოს მიმართ ამ საერთო ინტერესებით იყო განპირობებეული. რომისა და პართიის სამეფოს, რომისა და სასანიდური ირანის დაპირისპირებების ხანაში, ამ სახელმწიფოთა ურთიერთობებში კავკასიის კარს და მათ შორის თრუსოს ხეობას უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა. მოლაპარაკებების დროს კავკასიის კარი ყოველთვის იყო დღის წესრიგში, ხშირად, საზავო პირობების განმსაზღვრელიც კი.

რომის იმპერიის დასუსტების ხანაში, ქართლის მეფეები ცდილობენ საკუთარი სახსრებით გაამაგრონ და გააკონტროლონ ჩრდილოეთ კავკასიის გადმოსასვლელები. ამავე დროს საუკუნეების მანძილზე არსებული საგარეო ფაქტორი (რომი, პართია, სასანიდური ირანი) განაპირობებდა ქართველთა და ჩრდილოეთკავკასიელთა საერთო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სიახლოვეს. ეს სიახლოვე ასახულია, როგორც ტრადიციულ ყოფაში, ასევე საისტორიო წყაროებში, თქმულებებსა და ლეგენდებში. კავკასიის გასასვლელები, რომლებსაც სამხრეთის მხრიდან ქართლის სამეფო იცავდა, წყაროებში დასახელებულია როგორც „კავკასიის კარი“. მისი აღწერა გვხვდება ანტიკური პერიოდის ისტორიკოსებთან. პლინიუს უფროსის მიხედვით, „კავკასიის კარი... უზარმაზარი ქმნილებაა ბუნებისა, მთების უეცარი გაპობის შედეგი, თვით გასასვლელი მოზღუდულია რკინით შეჭედილი დირებით...ამ კედელს იცავს ციხე-სიმაგრე კუმანია, რომელიც აღმართეს ჩრდილოეთით მცხოვრები ტომების შესაჩერებლად...(C. PliniiSecundi. NaturalisHistoriae, Liber VI.). მსგავსი და შედარებით უფრო დაზუსტებული ცნობები გვხვდება უძველეს ქართულ სამოქალაქო ხასიათის თხზულებაში „მოქცევაΩ ქართლისაΩ“, რომლის თავდაპირველი ავთენტური ტექსტი, ჯერ კიდევ IV საუკუნეში შეიქმნა. თხზულების მიხედვით, როდესაც სპარსეთის ხელისუფლებამ ქართლში ფეხი მოიკიდა „ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი

აიგნეს და ერთი დიდი კარი უვს(თა)თვე და ორნი დვალეთს და ერთი პარჭუანს დორძოკეთისსა და იგი მთიოლნი გომარდად დაადგინეს“ („მოქცევაΩ ქართლისაΩ“, გვ. 723-724). ეს ცნობა პირდაპირ მიუთითებს, რომ ოვსეთი „კავკასიის კარს“ გაღმაა და კავკასიის გასასვლელებთან სპარსელებმა გაამაგრეს ოთხი გასავლელი: კავკასიის კარი - ოვსეთის გასავლელთან, ორი კარი დვალეთიდან ოვსეთის გასასვლელში, ხოლო დურძუკთა გასასვლელთან ერთი კარი და დაადგინეს ამ კართა მცველად მთიელნი[1].

ისტორიული წყაროების მიხედვით თრუსოსა და ისტორიული „ხევის“ ტერიტორიაზე ჩვ. წ. II საუკუნიდან ქართველური ტომები - წანარები - სახლობდნენ, რომლებმაც ადრეფეოდალურ ეპოქაში ჩრდილოკავკასიელ მომთაბარეთაგან დაცვის და ქართული პოლიტიკური ერთეულის (კახეთის საქორეპისკოპოსოს) ფორმირებაში დიდი როლი შეასრულეს. ამაზე მეტყველებენ, როგორც ქართული და უცხოური ნარატიული წყაროების, ასევე ამ ტერიტორიაზე არსებული, რიგი საკულტო, ქრისტიანული[2] და საერო დანიშნულების ხუროთმოძღვრული ძეგლები, ეპიგრაფიკული მასალები და სხვ.

V საუკუნეში ქართლის მეფის ვახტანგ გორგასლის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დალაშქვრისა და აქაური მთის მოსახლეობის შემომტკიცების შემდეგ, კავკასიის კარის და კავკასიონის სხვა გადმოსასვლელების დაცვა ადგილობრივ მოსახლეობას დაევალა. მათ შორის თრუსოს და მნის ხეობის მოსახლეობას ევალებოდა კავკასიის კარის და მისი მიმდებარე სტრატეგიული თავდაცვითი სისტემის გაკონტროლება. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსის ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგ მეფემ ჩრდილო კავკასიაში ილაშქრა, დაიმორჩილა ოსები, „შექმნა „კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიანისად უწოდთ. და აღაშენა მას ზედა გოდოლნი მაღალნი, და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი“ (ჯუანშერი 1955: გვ. 156), ანუ, მეფემ დარიალში ოსეთის გასასვლელებთან ციხე-სიმაგრეები ააშენა, რითაც გაამაგრა წინა წყაროებში დასახელებული კავკასიის კარი და სხვა გასასვლელები, რომლებიც „მოქცევაΩ ქართლისაΩს“ თხზულების მიხედვით, დვალეთიდან ოსეთისკენ გასასვლელი ორი კარი უნდა იყოს. იმავე ჯუანშერის ცნობის თანახმად, ამ გასასვლელების მცველებად ადგილობრივი ქართველი მთიელები დაადგინა. ამის შემდეგ, ვახტანგ მეფის ნებართვის გარეშე, ოსებს დარიალის კარით სარგებლობა აღარ შეეძლოთ (ჯუანშერი 1955: გვ. 156).

ოვსეთი რომ დვალეთს იქეთაა და ქართლის სამეფო და შემდეგ გაერთიანებული საქართველოს მეფეები ოსეთს დვალეთის გასასვლელით რომ უკავშირდებიან, ამაზე რამდენიმე ქართული საისტორიო თხზულება მოგვითხრობს. მაგალითად, ოსები ქართლის სამეფოში დვალეთის გასასვლელიდან შემოდიან, ამაზე მოგვითხრობს XI ს. ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი: „გარდამოვიდეს ოვსნი, სპანი დიდნი, გზასა დვალეთსასა“ (ლეონტი, 1955: 55). იგივე ლეონტი მეორე ადგილზე წერს: „ხოლო მირიან გარეს-გარ გარდავიდა ოვსეთს, მოტყუენა ოვსეთი და მიუწია ხაზარეთამდი, და გარდამოვლო გზა დვალეთისა და მოვიდა შინა“ (ლეონტი, 1955: 68). აქაც იგივე შინაარსი დასტურდება, მეფე მირიანი ოსეთში გაილაშქრებს და უკან დვალეთის გასასვლელი გზით ბრუნდება შინ. იგივე ვითარებაა ასახული „მატიანე ქართლისაΩს“ ავტორთან,

---

[1] მთიელნი - აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცხოვრებთა საერთო სახელწოდება, რომელიც, მოიცავს ხევის, მთიულეთი-გუდამაყრის ხევსურეთის, თუშეთის, ფშავის მოსახლეობას.

[2] ქრისტიანობა აქ წერილობითი წყაროების მიხედვით IV-VI სს-ში გავრცელდა.

რომელიც ბუღა თურქის შემოსევის დროს ასახელებს „ გზასა დვლეთისასა“, რომელიც დვალეთის გასასვლელი უნდა იყოს. (მატიანე:1955: 256).

კავკასიის გასასვლელები და დვალები სხვა საისტორიო წყაროებშიც გვხვდება, მათგან ყველაზე ავტორიტეტულს, XVIII საუკუნის ქართველი მემატიანის ვახუშტი ბაგრატიონის შეხედულებებს მოვიხმობთ მან პირადად მოიარა საქართველოს ყველა კუთხე, სამხრეთი და ჩრდილოეთ კავკასია, დააკვირდა და აღწერა სხვადასხვა მხარის ადგილობრივი მოსახლეობის ისტორია, ტრადიციები და ყოფა, შექმნა სპეციალური რუკები, საფუძველი ჩაუყარა, როგორც კრიტიკულ ქართულ ისტორიოგრაფიას, ასევე გეოგრაფიულ მეცნიერებას. სწორედ, ეს თვითმხილველი ვახუშტი აღწერს თრუსოს ხეობას სამ ხეობად, „აღმოსავლით აქუს ჴევი, დასავლით ზახა და მაღრან -დვალეთი, სამჴრით მთიულეთი, ჩრდილოთ ქურთაული, და მოზღუდვილ არს კავკასით, თჳნიერ ჴევიდამ, მოსახლენი არიან ოსნი, დვალნი“ (ვახუშტი, 1973: 357). ოსებსა და დვალებს ერთმანეთისგან განარჩევს XVIII საუკუნის ქართლის სამეფო კარის ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილიც, რომელიც XIV საუკუნის საქართველოს ისტორიული ამბების თხრობისას ჩამოთვლის კავკასიის მთებში მცხოვრებ მთიულებს და მათ შორის დვალებსა და ოვსებს ცალ - ცალკე ასახელებს (ეგნატაშვილი, 1959: 330). ამ ცნობების მიხედვით, ჩანს, რომ თრუსო შემოსაზღვრულია კავკასიის მთებით და წინა პერიოდის წყაროებისგან განსხვავებით, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შეცვლილია - ადგილობრივი ქართველი მთიელებიდან აქ მხოლოდ დვალები არიან შემორჩენილი და ხეობაში ახალი ეთნიკური ჯგუფი ოსებიც სახლობენ. ოსი ისტორიკოსების ერთი ნაწილი სადავოს ხდის დვალთა ქართველობის საკითხს და მათ ოსებად მიიჩნევენ (ბ. კალოევი და სხვები), მაშინ როდესაც ისეთი ავტორიტეტული მეცნიერები როგორიცაა ვ. აბაევი, ნ. ვოლკოვა, ვ. გამრეკელი, რ. თოფჩიშვილი, ვ. ითონიშვილი, ბ. გამყრელიძე და სხვების მიერ არგუმენ-ტირებულადაა დადასტურებული მათი ქართული წარმომავლობა [3] . და რაც მთავარია, მათი თვითმხილველი, ვახუშტი ბაგარტიონი ერთმანეთისგან განასხვავებს ოსებსა და დვალებს და მათ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფად მიიჩნევს. რეალურად ვინ არიან დვალები ამას ქართულ ონომასტიკონში შემონახული მათი გვარები მოწმობენ. ისინი მთელ საქართველოში არიან გაფანტულნი და შემორჩენილი აქვთ გვარები: დვალიძე, დვალიშვილი, დვალი, დვალიაშვილი და ა. შ. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დღემ-დე არის შემრჩენილი დვალეთიდან გადმოხვეწილი დვალების მიერ წამოღებული ტოპონიმები და მიკროტოპონიმები (გამყრელიძე, 1998: გვ. 80-100). ეს არის ქართველთა ისეთივე ეთნოგრაფიული ჯგუფი, როგორც კახელი, გურული, იმერელი, მეგრელი, სვანი, ქართლელი, აჭარელი, მოხევე, ფშაველი, ხევსური და სხვა. სწორედ, ერთ-ერთ ასეთ ეთნოგრაფიულ ჯგუფს მიეკუთვნებიან დვალები, რომლებიც ცენტრალურ კავკასიონზე მცხოვრები ქართველ მთიელთა ერთ შტოს მიეკუთვნებიან და რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ქართული სახელმწიფოს (ჯერ ქართლის, მოგვიანებით გაერთიანებული საქართველოს სამეფოს, ხოლო მისი დაშლის შემდეგ, ქართლ-კახეთის სამეფოს) სასაზღვრო - სტრატეგიულ გასასვლელებს თავდადებით იცავდნენ. როგორც ჩანს, დვალთა გამოდევნა ისტორიული დვალეთიდან და თრუსოს ხეობიდან ეტაპობრივად მოხდა.

[3] დვალთა წარმომავლობის შესახებ შემაჯამებელი კვლევა იხილეთ თოფჩიშვილი, 2016.

დვალების ნაწილმა ოსთა შემოსევებისას საქართველოს სხვა კუთხეებს შეაფარა თავი, ხოლო დარჩენილები ეტაპობრივად გაოსდნენ. საგულისხმოა, რომ გადმოსახლებულ დვალთა შთამომავლების ნაწილში ისტორიული მხარის - დვალეთის მოგონება დღემდე ცოცხლობს (თოფჩიშვილი, 2019). დვალთა გაოსების პროცესი მიმდინარეობდა თრუსოს ხეობაშიც, მაგრამ ბოლომდე ვერ განხორციელდა, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა საცხოვრისთან ხევთან და მთიულეთთან მტკიცე ეკონომიკური და კულტურული კავშირების გამო. თრუსოს ხეობის გადარჩენაც სწორედ აღმოსავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა თავდადებულ ბრძოლასა და მედგარ წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული.

რა თქმა უნდა, აქ ვერ მოვახერხებთ თითოეული წყაროს და სამეცნიერო დებატების დაწვრილებით განხილვას, რადგან ჩვენი მიზანია, თვალი გავადევნოთ თრუსოს, როგორც უმნიშვნელოვანეს სტრატეგიული რეგიონის ისტორიას ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების ისტორიაში, რადგან ამ რეგიონს განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სახელმწიფოს არსებობის ყველა ეტაპზე. საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლის პროცესში, როდესაც IX-X საუკუნეებში არაბთა ბატონობის წინააღმდეგ და ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის მიმდინარე ბრძოლა „ქართლსა ზედა“ საბოლოოდ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში გადაიზარდა და ქვეყნის გაერთიანებით დასრულდა.

რა ადგილი ეკავა კავკასიის კარს და თრუსოს ხეობას საქართველოს გაერთიანებული სამეფოს ცენტრალური ხელისუფლების თავდაცვის სისტემაში?

დავით აღმაშენებლის (1089-1125) მიერ შექმნილ თავდაცვით სისტემაში - „ნიკოფსიიდან დარუბანდამდის“, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ცენტრალურ კავკასიონზე თრუსოს ხეობას განსაკუთრებული ადგილი ეკავა და რეგიონის მოსახლეობა პირდაპირ სამეფო ხელისუფლებას ემორჩილობდა. ადგილობრივი მოსახლეობა გამოირჩეოდა სამეფო ხელისუფლებისადმი განსაკუთრებული ერთგულებითა და ნდობით, რამაც განაპირობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, მათ შორის თრუსოს ხეობის მთლიანად სამეფო დომენად ქცევა. იმავე პერიოდის საერო და საეკლესიო დანიშნულების ძეგლები და საისტორიო წყაროები მოწმობენ რომ დვალნი და კავკასიანნი ეკლესიურად საქართველოს საკათალიკოსო ცენტრს მცხეთას ექვემდებარებოდა და შედიოდა ნიქოზელი ეპისკოპოზის სამწყსოში (გამყრელიძე, 1998).

დავით აღმაშენებლის ეპოქიდან, ვიდრე მონღოლთა შემოსევების დაწყებამდე კავკასიის მთის მოსახლეობა და პოლიტიკური ერთეულები ყმადნაფიცობის ინსტიტუტის საფუძველზე შედიოდნენ იმ გაერთიანებაში, რომელსაც ქართული სახელმწიფო ედგა სათავეში. ბუნებრივია, ამ დროს გაიზარდა თრუსოს, როგორც თავდაცვითი და სტრატეგიული ასევე პოლიტიკური მნიშვნელობა, რადგან დვალეთის გასასვლელებთან და კავკასიის კართან ერთად წარმოადგენდა არამარტო სასაზღვრო ზოლს, არამედ

ყმადნაფიც [4] ქვეყნებთან დამაკავშირებელ სავაჭრო-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობის გასასვლელებს.

XIV საუკუნის დასაწყისიდან - მონღოლთა ბატონის დროიდან, საქართველოს სამეფოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, თრუსო ერთ-ერთ ძლიერ გავლენიან ქართულ საფეოდალოს - ქსნის ერისთავებს გადაეცათ სამართავად (დოლიძე, 1965:106). ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დასუსტების შემდეგ, თრუსოს ხეობაში ჩრდილოეთიდან ოქროს ურდოს მიერ შევიწროვებული ცენტრალურ კავკასიონზე მცხოვრები ქართული ტომების - დვალების ნაწილი შემოდის და თანდათანობით იკავებენ თრუსოსა და მნის ხეობებს. მოგვიანებით, საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე რთული ეთნოპოლიტიკური პროცესებისა და სხვადასხვა წარმომავლობის ტომების მიგრაციის შედეგად,დაახლოებით XVII საუკუნის ბოლოდან თრუსოს ხეობაში შემოდის ირანული წარმომავლობის ოსური ელემენტი. მათ თანდათანობით თრუსოში ეთნიკური დომინანტობა მოიპოვეს და ადგილზე დარჩენილი დვალების დიდი ნაწილი გააოსეს ან გააძევეს საქართველოს ისტორიულ რეგიონებში (გამყრელიძე.1998: 105)

მიუხედავად ამისა, თრუსო ქართლის მეფის დაქვემდებარებაში შედიოდა და შესაბამისად, XVII საუკუნის დასაწყისიდან - 1743 წლამდე რეგიონს მეორე ქართული გავლენიანი საფეოდალო სახლი- არაგვის ერისთავები დაეუფლნენ (ეგნატაშვილი, 1959: 399). 1743 წლიდან თრუსო ქართლისა და კახეთის მეფეებმა თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ არაგვის ერისთავებს ჩამოართვეს და ისევ სამეფო დომენად - საუფლისწულო მამულად გამოაცხადეს (ხერხეულიძე, 1989: 43)

საუფლისწულოს მმართველობის პერიოდში თრუსოს თავისი მოხელე - მოურავი და ნაცვალი განაგებდა. მათ მოვალეობაში, გარდა საზღვრის დაცვისა, მოსახლეობის აღწერა, გადასახადების აკრეფა და ომიანობის შემთხვევაში მეომრების გამოყვანა შედიოდა (ხეც, Hd-3906).

XVIII საუკუნის I მეოთხედამდე, ქართულ და უცხოურ ნარატიულ თხზულებებსა და ისტორიულ საბუთებში თრუსოში არაქართველი მოსახლეობის არსებობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება (მაგალითად: XIV-XV სს. „ძეგლი ერისთავთა“, 1439 წლის „გერგეტის სულტა მატიანე, XV ს. „სამთავისის სამწყოს დრამისა და შესავლის წიგნი“. იხილეთ წყაროები: დოლიძე. 1965: გვ. 105-114; შარაშიძე, 1954: გვ. 246-247; დოლიძე, 1970: გვ. 203).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, XVIII ს-ის პირველ ნახევარში, თრუსოში უკვე შერეული მოსახლეობა ჩანს - ადგილობრივი - დვალები და მოსული - ოსები, მაგრამ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან თრუსოში ოსთა მიგრაცია გახშირდა. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, საქართველოში მათ გადმოსახლებას, გაუკაცრიელებული ადგილების დასასახლებლად და ეკონომიკის გასაუმჯობესებლად, ზოგჯერ ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლებაც უწყობდა ხელს. უქმნიდნენ მშვიდობიან და ხელსაყრელ

[4] ყმადნაფიცობა - საქართველოს ვასალურ, მეგობარ სახელმწიფოებთან ურთიერთობების ფორმა XII საუკუნესა და XIII ს. დასაწყისის საქართველოში. დაახასიათებელი იყო თამარ მეფის (1184-1213) ეპოქისთვის. პირდაპირი მნიშველობით ნიშნავს ვასალად შეფიცულ სახელმწიფოს.

პირობებს საქართველოში დასამკვიდრებლად. აძლევდნენ სახნავ და სათიბ მიწევს, სახლ-კარს, ახალმოსულთათვის გაიცემოდა საკვები (ხეც, Qd-1617). ერთი სიტყვით, აქ მცხოვრებ ოსებს, ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეში სრულად ინტეგრაცი-ისთვის სამეფო ხელისუფლება თავად უჭერდა მხარს. თვით ოსებიც ხედავდენენ საქართ-ველოს სამეფო ხელისუფლების მზრუნველობას მათდამი. 1801 წელს რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ საქართველოში რამდენიმე ანტიკოლონიური აჯანყება მოხდა და ოსები, რუსული მმართველობის წინააღმდეგ, ქართველ მეამბოხეთა მხარდამხარ იბრძოდნენ. მოგვიანებით, ოსთა აჯანყებებმა იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგმ სისტემატური და შეურიგებელი ხასიათი მიიღო (ბენდიანიშვილი და სხვები,2012: 15-16).

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ შეიქმნა საქართველოს გუბერნია. თრუსო, ისევე როგორც ხევი, ტერიტორიული ადმინისტრაციული დაყოფით, შეიყვანეს თბილისის გუბერნიაში, რომელიც 1802-1803 წლებში ჯერ დუშეთის მაზრის შემადგენლობაში, 1803 წლიდან - ანანურის მაზრაში, ხოლო 1821-1929 წლებში კვლავ დუშეთის მაზრის შემადგენელი ნაწილი იყო. 1840 წელს მოხდა დუშეთის მაზრის რეორგანიზაცია - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილება უბნებად - ხევი და თრუსოს ხეობა შევიდა მთის უბნის შემადგენლობაში. 1930 წელს დუშეთის მაზრა გაუქმდა და მაზრის ტერიტორიაზე შეიქმნა სამი რაიონი - ყაზბეგის, დუშეთის და მცხეთის. თრუსოს ხეობა და ხევი ყაზბეგის რაიონის შემადგენლობაში შევიდა, ბუნებრივია, 2005 წლიდან დღემდე ირიცხება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში (ქსე,1979: 605: საქართველო, 2012: 519)

თრუსოს ხეობა ამჟამად დაცლილია მოსახლეობისგან (ითვლის დაახლოებით 17 ნასოფლარს). რეგიონიდან ოსების პირველი მასობრივი მიგრაცია XIX საუკუნის ბოლო პერიოდიდან დაიწყო, რაც დასტურდება რუსულ კამერალურ აღწერებში. (მაგალითად, იხილეთ, 1873 წლის კამერალური აღწერა (სცსა, ფონდი 254:). ამ მოსახლეობის ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე დარჩა და უფრო სამხრეთით, ბარში გადაინაცვალა, ნაწილი კი - თავის ისტორიულ სამშობლოს - ოსეთს (დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთი, რსფსრ) დაუბრუნდა. თრუსოს ხეობის მოსახლეობისგან დაცლა მთელმა რიგმა პროცესებმა განაპირობა: მკაცრი კლიმატური გარემო, დასაქმებისა და განათლების არარსებობა, რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაბალი დონე, კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობა, ყოველივე ეს განაპირობებდა ხეობიდან ხალხის გადინებას. გასული საუკუნის მეორე ნახევარში თრუსოს ხეობას აქ მცხოვრები ოსები, ისინი ვინც ჩრდილო კავკასიაში გადავიდნენ მხოლოდ სეზონურად სტუმრობდნენ - გაზაფხულიდან შემოდგომამდე მოდიოდნენ, მოჰყავდათ პირუტყვი გამოსაკვებად.თუმცა მოგვიანებით მეცხვარეობის უპერსექტივობამ ამ დარგის მოშლა გამოიწვია.

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის რამდენიმე რესპუბლიკაში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის დაწყებულმა მოძრაობამ, გააძლიერა რუსული პროპაგანდისტული მანქანის მუშაობა საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში (აფხაზეთი, ე.წ სამხრეთ ოსეთი და თრუსო) სადაც ეთნიკურად შერეული მოსახლეობა ცხოვრობდა. ამას თან დაერთო 1990-იანი წლების მძიმე ეკონომიკური კრიზისი დაინფრასტრუქტურის მოშლა, რამაც გამოიწვია

ხეობის მოწყვეტა ცენტრალური დასახლებული პუნქტებიდან და საბოლოოდ, ხელი შეუწყო ხეობიდან მოსახლეობის მიგრაციას.

სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, რასაც რუსეთ-საქართველოს საზღვრის (ლარსის გამშვები პუნქტის) ჩაკეტვა და სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა მოჰყვა.

მოგეხსენებათ, რომ ქართულ მიწაზე პრეტენზიები 2008 წლის აგვისტოს რუსული აგრესიის და ოკუპანტების მიერ ახალგორის დაპატრონების შემდეგ კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. რუსი და ოსი მეცნიერებისა და პრესის საშუალებით მიმდინარეობს პროპაგანდა და ცრუ ინფორმაციები თრუსოს ხეობის „ძირძველ ოსურ მიწად" გამოცხადების თაობაზე. დრო და დრო რუსულენოვან პრესაში ქვეყნდება ოსი ავტორების და ოსური საზოგადოებრივი ორგანიზაციების (მაგალითად, „დარიალის") მიერ შეთხზული მასალები (რაც რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ არის წაქეზებული და მხარდაჭერილი), რომლებიც ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდებარე თრუსოსა და დარიალის ხეობებს, აგრეთვე კობის ქვაბულის სოფლების ტერიტორიას თავიანთ კუთვნილ მიწებად მიიჩნევენ და შესაბამისად, მათი აზრით, ისინი სამხრეთ ოსეთის საზღვრებში უნდა იქნენ მოქცეულნი. უფრო მეტიც, „დარიალის" ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ რუკაზე გორი, მცხეთა და საქართველოს სამხედრო გზა „სამხრეთ ოსეთის" ფარგლებშია მოქცეული. ამ ადამიანებისთვის არაფერს წარმოადგენს რეგიონში მცხოვრები ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ინტერესები, წერილობითი ისტორიული წყაროები, თვით რუსული კამერალური აღწერები და დოკუმენტები, არაფერს წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები - ქვაზე ამეტყველებული კოლექტიური ისტორიული მეხსიერებისა და კულტურული იდენტობის უტყუარი დასტური (გაგოშიძე, 2021: გვ. 129-141; Akhaladze, Shiolashvili, Pkhaladze, Burduli, Kistauri, 2021: გვ. 10-13;).

მაშინ, როდესაც რუსეთის იმპერია და სხვა დიდი სახელმწიფოები საუბრობენ სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებზე, მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ უსაფრთხოების პრობლემები, პირველ რიგში პატარა სახელმწიფოებს აქვთ და სტრატეგიული, თავდაცვითი მნიშვნელობის რეგიონების ხელყოფა ამ სახელმწიფოების სუვერენულ უფლებებს არღვევს. მაშინ, როდესაც ჩვენ და ოსებს საუკუნეების მანძილზე გვქონდათ ისტორიული თანაცხოვრების, ნათესაობისა და ერთიანობოს შესანიშნავი მაგალითები, ვფიქრობთ, იმპერიული პოლიტიკის ჩარევის შედეგად შექმნილი დაძაბული ვითარება, აქეზებს და ნერგავს უნდობლობას ქართველ და ოს ხალხებს შორის, აძლიერებს ისტორიული დასაბუთების გარეშე უნდობლობისა და კონფლიქტის ატმოსფეროს. ეს კონფლიქტები, მიუხედავად მრავალი სხვა პრობლემისა, საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარ წარმმართველ ვექტორს წარმოადგენს დღესაც. თემის აქტუალობას კიდევ უფრო მეტად ზრდის ის ფაქტები, თუ როგორ ცდილობს საქართველო, რომელმაც XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მოიპოვა დამოუკიდებლობა, ქვეყნის პოლიტიკა წარმართოს საერთაშორისო ნორმების მკაცრი დაცვით და ქვეყნის საგარეო კურსი კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების გზით გადაწყვიტოს, უზრუნველყოს საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოება, სტრატეგიული მნიშვნელობის მხარეებისა და საზღვრების ხელშეუხებლობა.

მიუხედავად მიგრაციული პროცესებისა, თრუსომ, როგორც ქართველთა ძველი საცხოვრისის ტრადიციულმა რეგიონმა შეინარჩუნა ეროვნული კულტურის ძირითადი ტენდენციები, პირველ რიგში: ქართული წერილობითი კულტურა და ქართული დამწერ-ლობის სახე, ეპიგრაფიკული ძეგლების სახით, საქართველოს მთიანეთისთვის დამახასი-ათებელი (სვანეთი, ხევსურეთი, მთიულეთი, თუშეთი) საცხოვრებელი კოშკები, თავდაცვის სისტემაში ზურგიანი კოშკები და მრავალი სხვა არტეფაქტი, რომელიც თითქოს მიუდგომელი, მაგრამ ძალიან ახლო და მშობლიური თრუსოს ხეობის 17 ნასოფლარის ისტორიულ ქრონომეტრაჟზე გაქვავებულა. თრუსოში თითქოს დრო გაჩერდა და დღეს აქ აღარც ქართველი მთიელი დვალები და აღარც ოსები ცხოვრობენ. ოსთა ერთი ნაწილი თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დარუნდა, ხოლო მეორე ნაწილი, საქართველოს სხვა მხარეებში გადასახლდნენ. რაც შეეხება დვალებს, ეს ეთნოგრაფიული ჯგუფი დღეს აღარ არსებობს, მაგრამ მათი გვარები შემორჩენილია დღევანდელ ქართულ ონომასტიკონში დვალიშვილების, დვალაძეების, დვალების, დვალიაშვილების, თუალოისძეების და სხვათა სახით.

საქართველოში დარჩენილი ოსები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ისტორიულ მხარეში ცხოვრობენ და აქტიურად არიან ჩართულნი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. წარმოდგენილი არიან სახელმწიფო მმართველობაში, მეცნიერებაში, სპორტში, ბიზნესსა და სხვადასხვა სფეროში. მონაწილეობენ ქვეყნის თავდაცვაში, წარმოადგენენ საქართველოს სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებსა და მოლაპარაკებებზე, სამეცნიერო ფორუმებსა და სპორტულ შეჯიბრებებზე და მათ უმრავლესობას საქართველო საკუთარ სამშობლოდ მიაჩნია. გულწრფელად ვამბობთ, უხერხულიც არის თამარ მეფისა და დავით სოსლანის, ბორენა და ბორდოხან დედოფლების შთამომავალ ქართველებსა და ოსებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე, ერთგულების ფიცით - ყმადნაფიცობით ვიყავით შეკრულნი და ჟამთა სიავეს გამოვატარეთ ჩვენი ქვეყნები, დღეს მშვიდობის აუცილებლობაზე რომელიმე სხვა ძალა გვესაუბრებოდეს.

თრუსო კი როგორც საქართველოს სტრატეგიული რეგიონი და ქართულ-ოსური კულტურული დიფუზიის არეალი ბედნიერ, წარმატებულ, ხეობის წარსულსა და მომავალზე მზრუნველ ადამიანებს გველოდება.

ბიბლიოგრაფია:

ახალაძე, შიოლაშვილი, ფხალაძე, ბურდული, ქისტაური, 2021: ლია ახალაძე, ნინო შიოლაშვილი, თამარ ფხალაძე, გვანცა ბურდული, გელა ქისტაური, თრუსოს ხეობის ყოვლისმომცველი კვლევისთვის, HISTORY, ARCHAEOLOGY., ETHNOlGY. VI, გვ. 1-23 დეკ. 2021. ISSN 2449-285X.(ინგლისურად) http://¬sci-encejournals.ge/index.php/HAE/article/view/176/141

ბენდიანიშვილი და სხვ., 2012: საქართველოს ისტორია, XIX-XX სს.“, ტ. IV, ალ. ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი, მ.ნათმელაძე, თბ. 2012 წელი (ქართულად).

ვახუშტი, 1973: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერილობა სამეფოსა საქართველოსა, სიმონ კუხჩიშვილის ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილი ტექსტი, თბილისი, 1973 (ქართულად).

გაგოშიძე, 2021 წელი: გიორგი გაგოშიძე. ქართული წარწერები თრუსოსა და მნის ხეობაში, კრებულში: თრუსო, ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები როლანდ თოფ-ჭიშვილის რედაქციით. თბილისი, 2021. https://ijhei.files.wordpress.com/2021/01/-trusoistoriuli.pdf (ქართულად).

გამრეკელი, 1965: ვახტანგ გამრეკელი. დვალეთის კარიბჭე ცენტრალურ კავკასიონზე, "ძეგლის მეგობარი", N5. (ქართულად).

გამყრელიძე, 1998: ბახვა გამყრელიძე. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიიდან ეთნონიმების „ოსისა“ და „დვალის“ მიმართების საკითხზე. ისტორიული კვლევა, ტ. I. თბ., 1998. (ქართულად).

დოლიძე, 1965: ისიდორე დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბილისი, 1965 (ქართულად).

დოლიძე, 1970: ისიდორე დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბილისი 1970 (ქართულად).

ეგნატაშვილი, 1959: ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. წიგნში ქართლის ცხოვრება, ტ. II. სიმონ ყაუხჩიშვილის ყველა ძირითად ხელნაწერზე დაფუძნებული ტექსტი, თბილისი, 1959 (ქართულ ენაზე)

თოფჩიშვილი, 2016 წელი: როლანდ თოფჩიშვილი. დვალეთი და დვალები. საქართველოს დაკარგული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე და ქართველთა გაუჩინარებული ეთნოგრაფიული ჯგუფი, თბილისი, 2016 (ქართულ ენაზე).

თოფჩიშვილი. 2019 წელი: როლანდ თოფჩიშვილი. დვალეთი ისეთივე ტკივილია საქართველოსთვის, როგორც სხვა დაკარგული ტერიტორიები "," Week Palette, 2019. 16 სექტემბერი. (ქართულად).

ლეონტი, 1955: ლეონტი მროველი, მეფეთა ცხოვრება, ისტორიულ თხზულებათა კრებული „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით გვ. ყაუხჩიშვილის მიერ, თ. I, თბილისი, 1955 (ქართულად).

მატიანე, 1955: მატიანე ქართლისა, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, კრებული: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დაფუძნებული ყველა ძირითად ხელნაწერზე გვ. ყაუხჩიშვილის მიერ, თ. I, თბილისი, 1955 (ქართულად).

მოქცევაი ქართლისაი/ ქართლის მოქცევა: თაყაიიშვილი ე., Описание рукописей, ტ. II, რედ., 1-4, ტფილისი, 1906-1912 წწ. (ქართულად).

საქართველო, 2012: ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. 2, თბილისი, 2012 (ქართულ ენაზე).

ჭანაგი, ფონდი 254: საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური ისტორიული არქივი - ფონდი 254, ჩანაწერი 3, საქმე #227, 229, 230, 232, 236, 259, 261, 266. (ქართულად).

სსე, 1979: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბილისი, 1979 წ.

შარაშიძე, 1954: ქრისტინე შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.) (გერგეთის მატიანე), კრებული: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვეთი 30, თბილისი, 1954 (ქართულად).

ჯუანშერი, 1955: ჯუანშერი, ვახტანგ გორგასლის ცხოვრება, ისტორიულ თხზულებათა კრებული „ქართლის ცხოვრება“ ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის საფუძველზე გვ. ყაუხჩიშვილის მიერ, თ. I, თბილისი, 1955 (ქართულად).

ხერხეულიძე, 1989: ომან ხერხეულიძემ, ირაკლი II-ის მეფობის დროს, მოამზადა ტექსტი გამოსაცემად, რომელიც დაურთო ლელა მიქიაშვილის კვლევას, ლექსიკონს და საძიებო სისტემას, თბილისი, 1989 (ქართულად).

GNCM Hd-3906: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd ფონდი, N 3906 (ქართულად).

GNCM Qd-1617: კორნელიუს კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქდ ფონდი, N 1617 (ქართულად).

PliniiSecundi. NaturalisHistoriae: C. PliniiSecundi. NaturalisHistoriae, Liber VI. (ინგლისურად).